

მდინარე არაგვის წყლის რესურსების გამოყენება და გარემოსდაცვითი შეფასება

ნინო თედორაძე

ელ-ფოსტა: nino.tedoradze424@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

საქართველოს ტერიტორია მდიდარია წყლის რესურსებით, განსაკუთრებით კი მტკნარი წყლის რესურსები წარმოაგენს ქვეყნის მთავარ სიმდიდრეს. მტკნარი წყლის რესურსები საქართველოში წარმოდგენილია მდინარის ჩამონადენით, მიწისქვეშა წყლებით, მყინვარების, ტბების, ჭაობების და წყალსაცავების წყლებით. ერთი შეხედვით წყლის რესურსებით მდიდარ ქვეყანაში ყველა მომხმარებლის წყლით უზრუნველყოფა რთული არ უნდა იყოს, მაგრამ ზედაპირული წყლის რესურსების 75% დასავლეთ საქართველოზე მოდის, მაშინ, როდესაც ძირითადი წყალმომხმარებელი საწარმოები და თითქმის ყველა სარწყავი აღმოსავლეთ საქართველოშია განლაგებული. წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის საკითხი საქართველოსათვის მნიშვნელოვანია.

წყლის რესურსების ფართო გამოყენება ხდება, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. თანდათან ფართოვდება მრეწველობა, რომელიც დღემდე წყლის უდიდესი მომხმარებელია, ასევე წყლის დიდი მოხმარებით გამოირჩევა სოფლის მეურნეობა, სადაც წყლის მოხმარება ხდება სასმელად, ირიგაციის თვალსაზრისით და მეცხოველეობის განვითარებისთვის.

ნაშრომში განხილულია მდინარე არაგვის აუზის წყლის რესურსები, მათი გამოყენება, ტერიტორიული გადანაწილება, გარემოსდაცვითი ასპექტები და მოხმარების სამომავლო პერსპექტივები.